



ანტიდასავლურ დისკურსთან ბრძოლა სოციალურ მედიაში

ყოველთვიური ანგარიში (2019 წლის 28 თებერვალი-31 მარტი)

ქართულენოვანი ულტრამემარჯვენე ჯგუფების აქტიურობა მარტის თვეში 20%-ით შემცირდა. თუმცა, ცვლილება აუდიტორიაზე უფრო ნაკლები მასშტაბით აისახა

აუდიტორია ყველაზე მეტად მსენთეობიური შინაარსის ინფორმაციაზე რეაგირებდა

მარტის თვეში გვერდები აქტიურად განიხილავდნენ ლადო აფხაზაშვილს მასწავლებელთა გლობალურ ჯილდოზე წარდგენას, ირანელ რეჟერთან ამირ თათალუსთან დაკავშირებულ ინციდენტს და ჰარლამენდში წარდგენილ კანონპროექტს ბავშვთა უფლებების შესახებ

წინამდებარე ანგარიშში აღწერილია სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ქართულენოვანი ულტრამემარჯვენე გვერდების აქტიურობა 2019 წლის თებერვლიდან 31 მარტის ჩათვლით. გაანალიზებულია ასეთი გვერდებისა და მათი აუდიტორიის ყოველდღიური მოქმედებები, თემატური მოდელირების საშუალებით გამოყოფილია მათ მიერ მარტის თვეში განხილული საკითხები, ხოლო სენტიმენტების ანალიზის მეშვეობით გაანალიზებულია ის კონტენტები, რომლის ფარგლებშიც გვერდები საგარეო პოლიტიკის შესახებ საუბრობენ.

გვერდების ყოველდღიური აქტიურობის ძირითადი თავისებურებები

პროექტის ფარგლებში აქამდე გაანალიზებული 70 გვერდიდან დაკვირვების პერიოდში აქტიური მხოლოდ 42 გახლდათ. „ფეისბუქმა“ მარტის შუა რიცხვებში გავლენიანი გვერდების ნაწილი დაბლოკა, მათ შორის მოხვდნენ „ქართული იდეა“, „ედელვაისი“, „ნაციონალური ლეგიონი“, „ალფა-დომინანტი“ და „ანტილიბერალური არხი“. 2019 წლის მარტში, ქართულენოვანმა ულტრამემარჯვენე გვერდებმა 3 427 პოსტი გამოაქვეყნა, რაც წინა თვეზე 30%-ით ნაკლებია. ცხადია, ამ მოვლენას აუდიტორიის შემცირებაც მოყვა. მომხმარებლებმა გვერდების მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია 140 955-ჯერ მოიწონეს და 140 343-ჯერ გააზიარეს, რაც თებერვალთან შედარებით, 20%-იან კლებას აჩვენებს. თუმცა, კომენტარების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით, მხოლოდ მცირედით შემცირდა (9%).

პოსტების ყველაზე დიდი რაოდენობა (153) გვერდებმა 18 და 31 მარტს გაავრცელეს. პირველ შემთხვევაში, რამდენიმე გვერდმა ონლაინ-ტელევიზია „სალტეს“ ვიდეოჩანაწერი გააზიარა, რომელშიც კონსერვატორი აქტივისტი, ზვიად ტომარაძე საქართველოს საიმიგრაციო პოლიტიკას აკრიტიკებდა. ვიდეოში ტომარაძემ მთავრობას სხვადასხვა მოთხოვნა წაუყენა, მათ შორის - სავიზო რეჟიმის შემოღება ამიურ ქვეყნებთან და იმ ბიზნესების დასჯა, რომლებიც უცხოელებს „უკანონოდ“ ასაქმებენ.

აქტიურობის მეორე პიკი 31 მარტს ემთხვევა. ამ დღეს გვერდები ზვიად გამსახურდიამ მომზადებულ პოსტებს აზიარებდნენ. გამსახურდიას, რომელიც ეროვნული მოძრაობის ლიდერი და ქვეყნის პირველი პრეზიდენტი გახლდათ და ამასთან - რელიგიური და ნაციონალისტური

შეხედულებებითაც გამოირჩეოდა, ქართული ულტრამემარჯვენე ჯგუფები საკუთარ იდეოლოგიურ მამამთავრად მიიჩნევენ.

2019 წლის 3 მარტს გავრცელებულმა პოსტებმა მოწონებათა მაქსიმალური რაოდენობა დაიმსახურა. როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ყველაზე მეტად მოწონებული პოსტით „ვირუსული ვიდეო“ გავრცელდა. პოპულარობით მეორე და მესამე პოსტებში კი ნაჩვენები იყო იტალიაში, ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერებთან შეხვედრის ვიდეოჩანაწერები.


ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ გაზიარებულ ინფორმაციაზე აუდიტორიის კომენტარების რაოდენობაში ორი პიკი გამოიყოფა. პირველი მათგანი 28 მარტს ემთხვევა - ამ დღეს პოსტებზე 4 635 კომენტარი გაკეთდა. დღის ყველაზე პოპულარული პოსტები განიხილავდნენ ირანელი ჰიპ-ჰოპ არტისტის - ამირ თათალუს წარმოდგენას თბილისში. გვერდებმა გააზიარეს თათალუს გამოსვლის არასწორი თარგმანი, სადაც იგი თითქოს ქართველებს შეურაცხყოფას აყენებს. იმავე დღეს Welcome to Georgia-ს მიერ გავრცელებული კიდეც ერთი პოპულარული პოსტი მომხმარებლებს ირანის მოქალაქეთათვის სავიზო რეჟიმის დაწესებასთან დაკავშირებით პეტიციაზე ხელმოწერას მოუწოდებდა. ეს პოსტი მომხმარებლებმა 10 349-ჯერ გააზიარეს. კომენტარების რაოდენობის მხრივ გამორჩეული მეორე დღის, 19 მარტის პოპულარულ პოსტში გაზიარებული იყო ტელენამყვან ინგა გრიგოლიას ინტერვიუ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან. ვიდეოჩანაწერში საუბრის მონაწილეები ცხარედ განიხილავდნენ ზურაბიშვილის გადაწყვეტილებას, უარი ეთქვა სატელევიზიო გადაცემებში მონაწილეობაზე, თუ ინტერვიუ საპრეზიდენტო სასახლეში არ ჩაიწერებოდა.

კომენტარების მსგავსად, მომხმარებლებმა ყველაზე მეტი პოსტი 28 მარტს გააზიარეს. ამ შემთხვევაშიც, ყველაზე პოპულარულ შეტყობინებებში ამირ თათალუსთან დაკავშირებული ინციდენტი განიხილებოდა და გაისმოდა მოწოდებები ირანის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით. ქსენოფობიური პოსტები პოპულარული გახლდათ 23 მარტსაც. ამ დღეს გვერდებმა მთანმინდის პარკში ქართველ და ინდოელ სტუდენტთა დაპირისპირების ამსახველი ვიდეოჩანაწერი გაავრცელეს. წარწერები და კომენტარები, რომლებიც ვიდეოს ახლდა, კონფლიქტის პროვოცირებას ინდოელ სტუდენტებს აბრალებდა იმ მოტივით, რომ მათ ადგილობრივებს შეურაცხყოფა მიაყენეს.


შესწავლილი გვერდების მიერ განხილული საკითხები

2019 წლის მარტის განმავლობაში, გვერდები სხვადასხვა თემებს¹ განიხილავდნენ (დიაგრამა 2). პოსტების 15% ეძღვნებოდა სოფელ ჩიბათის

¹ საკითხები გამოიყო ე.წ. თემატური მოდელირების გზით. თემების ოპტიმალური რაოდენობა გამოთვლილ იქნა სპეციალიზებული ალგორითმის მიხედვით (Griffits 2004, Cao et al 2009, Arun 2010). საერთო ჯამში, გამოიყო 15 სხვადასხვა საკითხი.



დიაგრამა 1. ულტრამემარჯვენე ნაწილების „ვირუსული“ პეტიციების დინამიკა 2019 წლის მარტში




ფიგურა 3. 2019 წლის მარტიში ქართველი მკვლევარების მიხედვით საქართველოს პარტიების პოპულარობა

ფარგლებში გვერდები განიხილავენ კონსერვატორი პოლიტიკოსის, კობა დავითაშვილის სტუმრობას პოპულარულ ტელეგადაცემაში. ამასთან, თემები ბავშვთა უფლებებისა და უნგრეთის შესახებ გვერდების დისკუსიაში თითქმის მთელი პერიოდის მანძილზე ფიგურირებს.

გვერდები ერთმანეთისგან განსხვავებულ თემებს განიხილავდნენ (იხ. დიაგრამა 3). „ივერონი“, „ნუ გამოლიბერალები“ და „მსოფლიო საოჯახო კონგრესი“ ახსენებდნენ საკითხს, რომელიც დაკავშირებულია სიტყვებთან „ჭილდო“, „მასწავლებელი“ და „ირანელი“. საერთაშორისო ამბები დომინირებდა გვერდის „თურქული ოკუპაცია“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში, უნგრეთთან დაკავშირებული საკითხები წარმოდგენილი იყო ნაციონალისტური გვერდების, „ქართული ძალა“ და „ქართველი მეამბოხე“, ტექსტებში. და ბოლოს, არჩევნებთან და საერთაშორისო თემებთან დაკავშირებული თემები ჭარბობდა „ობიექტივის“ მიერ გავრცელებულ მასალებში.

როგორ საუბრობენ გვერდები საგარეო პოლიტიკის შესახებ?



ფიგურა 4. მარტიში და აპრილში საქართველოში ცხოვრობისას პარტიების პოპულარობა

ქართული ულტრამემარჯვენე ჯგუფები ნეგატიურად საუბრობდნენ როგორც დასავლეთზე, ასევე - რუსეთზე (იხ. დიაგრამა 4). სენტიმენტების ჯამური მნიშვნელობა თითოეული გვერდისთვის უარყოფითია, „ტაძრიელის“, „საინფორმაციო გვერდის“ და „დედაქალაქის“ გამოკლებით. ეს უკანასკნელები დასავლეთს პოზიტიურ კონტექსტში ახსენებდნენ. ამასთან, სენტიმენტების ჯამური დადებითი მაჩვენებელი რუსეთთან დაკავშირებულ პოსტებში არცერთ გვერდს აქვს.

განალიზებული გვერდები ხშირად ახსენებდნენ მსოფლიო ლიდერებს. მარტის თვეში, დონალდ ტრამპი 61 პოსტში ფიგურირებდა. პოსტების რაოდენობის მიხედვით, მომდევნო ადგილზე გახლდათ ვიქტორ ორბანი (28 პოსტი), ანგელა მერკელი (15 პოსტი) და მატეო სალვინი (13 პოსტი). სენტიმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ ტრამპთან და სალვინისთან დაკავშირებული პოსტების სენტიმენტების ჯამი დადებითია, ორბანის და მერკელის შემთხვევაში კი - უარყოფითი. ამასთან, თუკი ვიქტორ ორბანთან დაკავშირებულ პოსტებს უფრო დეტალურად შევისწავლით, ვნახავთ, რომ უარყოფითი კონტექსტი ძირითადად უკავშირდება მიგრაციულ კრიზისს, რომლის აღმწერ სიტყვებს ნეგატიური კონტაქცია აქვთ.

დასკვნა

2019 წლის მარტში, ქართულენოვანი ულტრამემარჯვენე ჯგუფების აქტიურობა 20%-ით შემცირდა, რადგან „ფეისბუქმა“ პოპულარული გვერდების ნაწილი დაბლოკა. თუმცა, ამ მოვლენის გავლენა მომხმარებელთა აქტიურობაზე თანაბრობადი არ ყოფილა. იმ დღეებში, როდესაც გვერდები განსაკუთრებით ბევრ პოსტს ავრცელებდნენ, პოპულარულ შეტყობინებებში ფიგურირებდნენ მიგრანტთა

სანინალმდებო ვიდეოჩანანერები და ზვიად გამსახურდიას შესახებ ისტორიული მასალები. გვერდები, რომელთა პოსტებმაც კომენტარების, გაზიარების და მონონებების ყველაზე დიდი რაოდენობა მოიპოვა, ქსენოფობიურ ინფორმაციას ავრცელებდა, მაგალითად, ირანის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის შემოღების პეტიციებს და ვიდეოჩანანერებს, სადაც ნაჩვენებია იყო ინდოელი და ქართველი სტუდენტების დაპირისპირება მთანმინდის პარკში.

შინაარსობრივი თვალსაზრისით, გვერდები აქტიურად განიხილავდნენ ქართველი მასწავლებლის, ლადო აფხაბაგას წარდგენას მასწავლებელთა გლობალურ ჯილდოზე და ინციდენტს ირანელი მუსიკოსის ამირ თათალუს მონაწილეობით. სხვა მნიშვნელოვანი თემები გახლდათ ბავშვთა უფლებების კოდექსის კანონპროექტი, რომელსაც ქართული კონსერვატიული ჯგუფები უკიდურესად ეწინააღმდეგებიან.

ამავე პერიოდში, გვერდები აქტიურად აზიარებდნენ ინფორმაციას საერთაშორისო მოვლენების შესახებ. რუსეთსა და დასავლეთზე საუბრისას, უარყოფითი სენტიმენტები ჭარბობდა, თუმცა, რუსეთის შესახებ გავრცელებული პოსტები საშუალოდ უფრო ნეგატიური იყო, ვიდრე დისკუსიები დასავლეთზე. რამდენიმე პოსტი ახსენებდა სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ ლიდერს: დონალდ ტრამპს, ვიქტორ ორბანს და მატეო სალვინის.

მეთოდოლოგიური შენიშვნა

წინამდებარე ანალიზი ემყარება 2019 წლის 28 თებერვალსა და 31 მარტს შორის პერიოდში, ქართულენოვანი ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ გაზიარებულ 3 427 პოსტს. მონაცემები შეგროვდა კომპიუტერული პროგრამა Netvizz-ის მეშვეობით. სიტყვების ფუძეების გამოსაყოფად გამოყენებულ იქნა ქართული ეროვნული ლინგვისტური კორპუსი (<http://clarino.uib.no/gnc/>). თემატური მოდელირება ჩატარდა ლირიხლეს ლატენტური ალოკაციის მეთოდით. შეგროვებული კორპუსის კონტექსტუალიზაციისთვის გამოყენებულ იქნა სენტიმენტების ანალიზი (AFINN ლექსიკონი, http://www2.imm.dtu.dk/pubdb/views/publication_details.php?id=6010).

ანგარიში მომზადდა „CRRC-საქართველოს“ მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო დახმარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებული და „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ (EWMI) მიერ განხორციელებული „სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეების ჩართულობის პროექტის“ ფარგლებში. ტექსტი გამოთქმული ამრები შესაძლოა, არ ასაბავდეს EWMI-ის, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო დახმარების სააგენტოს ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის აზრს